აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

# 01-04/46

19.06.2019

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის № 01-04/40 06.06.2019 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტის საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის, აკადემიური პერსონალის წარმომადგენელთა ფაკულტეტის საბჭოში არჩევნების ჩატრების თარიღისა და ადგილის, კანდიდატთა რეგისტრაციის ვადებისა და კანდიდატის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ რექტორის № 01-04/40 06.06.2019 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:**

**მუხლი 1.**

**მუხლი 1. ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობა განისაზღვროს 20 წევრით. საბჭოს შემადგენლობაშია: ფაკულტეტის დეკანი, სტუდენტი - 5, აკადემიური პერსონალი - 14; მათ შორის ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები:

ა) ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი - 3 წევრი

ბ) ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი - 3 წევრი

გ) გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი - 1 წევრი

დ) რომანული და კლასიკური ფილოლოგიის დეპარტამენტი - 1 წევრი

ე) აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტი - 1 წევრი

ვ) სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტი - 1წევრი

ზ) ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტი - 3 წევრი

თ) ფილოსოფია - ფსიქოლოგიის დეპარტამენტი - 1 წევრი

**მუხლი 2.** დადგენილება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

უნივერსიტეტის რექტორი /როლანდ კოპალიანი/

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: / მინდია ბერეკაშვილი/